



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA010142228842718

15 / მარტი / 2018 წ.
№ 234/ს

მოვლითი (სანიტარული) ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსის III და IV ხარისხის (ნაძვის, სოჭის და ფიჭვის ჯიშის - 359.41 მ3) საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N78) გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 15 იანვრის N5000210818 დასკვნის, სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2018 წლის 10 მარტის N8620/14 სამსახურებრივი ბარათის და 2017 წლის 8 ნოემბრის N26304/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N78 სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ ახალციხე-ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნის, თისელის სატყეო N14 და N20 კვარტლებში მოვლითი (სანიტარული) ჭრების შედეგად მოპოვებული 359,41 მ³ ნაძვის, სოჭის და ფიჭვის ჯიშის III და IV ხარისხის მერქნული რესურსის საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები და აუქციონის ლოტები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტს (გ.ბლიაძე) სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურს (ბ.კიწმარიშვილი) სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს, ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის ქ. №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3/15/2018

ეროვნული სატყეო სააგენტო

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის
მოადგილე



ნათია იორდანიშვილი